ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ინგა სეხნიაშვილი

კომისიის წევრი: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ხათუნა ფურელიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.06.2021

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/21

I შეკითხვა:

ადვოკატს აქვს თუ არა უფლება, წინასწარი წერილობითი თანხმობით წარმოადგენდეს, უძრავი ქონების გაყიდვისას როგორც მყიდველის, აგრეთვე გამყიდველის ინტერესებს?

II ანალიზი:

კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების და კონფიდენციალობის პრინციპის თაობაზე არსებული მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებით:

> „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“ (აპეკ-ის 6.1).
>
> „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ (აპეკ-ის 4.1).

„ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტა მოითხოვს რომ ადვოკატმა ნათლად განისაზღვროს:

1. ვინ არის მისი კლიენტი ან კლიენტები;

2. არსებობს თუ არა კონფლიქტი;

3. შეიძლება თუ არა წარმომადგენლობის განხორციელება არსებული კონფლიქტის მიუხედავად. თუ კი, გაიარონ კონსულტაცია კლიენტთან და მიიღონ მათგან ინფორმირებული თანხმობა

წერილობითი ფორმით.“ (იხ. პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ჯეიმს მოლიტერნო, გვ.146).

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„...კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდგომში „ეთიკის კომისია“, 2018 წლის 05 ნოემბრის #009/18 წერილობითი რეკომენდაცია).

კონფლიქტის მიუხედავად, წარმომადგენლობა დასაშვებია თუ:

1. სხვადასხვა კლიენტს საერთო ინტერესი აქვთ;
2. თანხმობას აცხადებენ რომ ერთი და იმავე ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები;
3. კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე არ არის სახეზე, იმ პირობებშიც კი, როდესაც ადვოკატი წარმოადგენს რამდენიმე კლიენტს; და
4. კონფლიქტი არ უშლის ადვოკატს ხელს იმოქმედოს მისი ყველა კლიენტის ინტერესების ფარგლებში.

ეს შესაძლებლობა არ მოიცავს დაპირისპირებული მხარეების (მაგალითისათვის მოსარჩელის და მოპასუხის) ერთი და იმავე საქმეში, ერთი ადვოკატის მიერ წარმომადგენლობას. (იხ. წერილობითი რეკომენდაცია 003/20 30.06.20)

„როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესები (წესი 1.7(ა)) ითვალისწინებს იმ შეუთავსებელ ურთიერთობებს, რა შემთხვევებშიც, არ არის შესაძლებელი კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების დროსაც კი წარმომადგენლობის განხორციელება. კერძოდ, 1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს, 2. მნიშვნელოვანი რისკია იმისა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020).

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელური ქცევის წესები ადრე ითვალისწინებდა ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში ერთ საქმეზე ორივე მხარის წარმომადგენლობას, ის რაც დღეს „ტრადიციულ ინტერესთა კონფლიქტია“. მაგალითისთვის, დასაშვები იყო განქორწინების საქმეზე ცოლ-ქმრის

სურვილის შემთხვევაში მათი საქმისწარმოება. მხარეებს არ სურდათ დამატებითი ხარჯის გაწევა და საქმეში ერთი, როგორც შუამავალი „friendly divorce”-ის ადვოკატი ისე ერთვებოდა (სტატია: „professional responsibility problems of divorce mediation and legal ethics” - https://www.jstor.org/stable/25739304). ამერიკის უმრავლეს შტატში დღეს ეს განიხილება როგორც მკაფიო კონფლიქტად.

ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს სხვადასხვა ინტერესი (მყიდველი და გამყიდველი). აპეკ-ის 6.1 შემთხვევა არ ეხება მხოლოდ მოდავე მხარეებს. შეთანხმების ორ მხარეს აქვს სხვადასხვა ინტერესი და თავისთავად, ადვოკატმა უნდა აიცილოს აგვარი წარმომადგენლობით გამოწვეული ინტერესთა კონფლიქტი. ორივე მხარე ცდილობს თავისი ინტერესი იყოს უფრო „მომგებიანი“, ვიდრე მეორე მხარის. ხელშეკრულების ორივე მხარისგან ადვოკატი იღებს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ამგვარი წარმომადგენლობა ეწინააღმდეგება ადვოკატის ფუნდამენტურ ვალდებულებას - კონფიდენციალობის პრინციპს. არსებობს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, როდესაც კლიენტის ინფორმირებული თანხმობით შესაძლებელია წარმომადგენლობა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, არსებობს დაუშვებელი ინტერესთა კონფლიქტი.

დასკვნა:

ნასყიდობის ხელშეკრულების ორივე მხარის (მყიდველის და გამყიდველის) ინტერესების წარმოდგენა დაუშვებელია ადვოკატის პროფესიული რეგულაციით, რადგან შეუძლებელია ერთდროულად ადვოკატმა ორი სხვადასხვა ინტერესის მქონე მხარეს გაუწიოს საადვოკატო მომსახურება და ამავდროულად უზრუნველყოს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა. ამგვარი წარმომადგენლობა ადვოკატის დისკვალიფიკაციის საფუძველია.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი /ხათუნა ფურელიანი/